განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი 19.12.19

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	„საქართველოს უნივერსიტეტი“ შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმე
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საექთნო საქმის ბაკალავრის 0913
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ დაუსი სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ცოტნე სამადაშცილი თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა აბჟანდაძე „ვაბაკო“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა „ნიუ ვოჟენი“ საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამია „საექთნო საქმე“ აგებულია იმ პრინციპით, რომ მიამზადოს მაღალი კომპეტენციის მქონე ექთნები, რომელთა პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას, როგორც საქართველოში ასევე მის საზღვრებს გარეთ.პროგრამაში უხვად არის გამოყენებული საექთნო საქმის შესწავლის თანამედროვე ასპექტები. იგი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა სრულყოფილად შეისწავლოს დარგისთვის რელევანტური ყველა საბაზისო და კლინიკური დისციპლინები.

პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ სტიდენტმა მიიღოს თანამედროვე მიდგომემზე და მტკიცებულებებზე დაფიძნებული შემდეგი სახის ცოდნა :

- საექთნო საქმის თეორიული საკითხების საბაზისო ცოდნა;
- ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, პათოლოგიური ფიზიოლოგიის, ფარმაკოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, თერაპიის, ქირურგიის, პედიატრიის, დედათა და ჩვილის მოვლის, გერიათრიის, ფსიქიატრიის ძირითადი საკითხების ცოდნა;
- გაცნობიერებული ურთიერთკავშირები საექთნო საქმის თეორიულ ასპექტებს შორის;
- ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ძირეული პრინციპების ცოდნა
- გაცნობიერებული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, მკურნალობა-რეაბილიტაციისა და პალიატიური ღონისძიებების მნიშვნელობა ინდივიდუალურ და პოპულაციურ დონეზე;
- საექთნო პროცესის ეტაპების (საექთნო შეფასება, დიაგნოსტირება, მოვლის გეგმის შედგენა, განხორციელება, შედეგების შეფასება) ცოდნა;
- საექთნო მანიპულაციებისა და პროცედურების დანიშნულებისა და ჩატარების წესების ცოდნა;
- გაცნობიერებული ექთნის ფუნქცია-მოვალეობები და მისი როლი ჯანდაცვითი სერვისების მიწოდებაში;
- ცოდნა საექთნო საქმეში გამოყენებული თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებისა და მეთოდების შესახებ;
- გაცნობიერებული პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გავლენა ჯანდაცვის უზრუნველყოფაზე;
- საექთნო მოვლის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევის პრინციპების ცოდნა;
- გაცნობიერებული პაციენტისთვის სრული, ობიექტური და დროული ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა.

გარკვეული მიგნებების შესახებ ონფორმაცია ვრცლად არის აღწერილი სტნადარტების აღწერით ნაწილში.

გაცნობიერებული ჯანდაცვის გუნდის მნიშვნელობა საექთნო პროცესის წარმართვისათვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2019 წლის 11 ოქტომბერს შპს საქართველოს უნივერსისტეტში შედგა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (თამარ დაუსი - თავმჯდომარე, ცოტნე სამადაშვილი - წევრი, ეკა ბაჟანდაძე - წევრი, ლანა ბოკუჩავა - წევრი) ვიზიტი, რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
ვიზიტამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია.
ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსი, კერძოდ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სიმულაციური ლაბორტორია, ბიბლიოთეკა.
ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან. კურსადმთავრებულებთან შეხვედრა ვერ მოხერხდა რადგან უნივესიტეტს არ ყავს კურსდამტავრებული კონტიგენტი.
ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხედულებების და ძირითადი მიგნებების მათთვის გაზიარების მიზნით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი 1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

სტანდარტი 2 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნასთან

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

სტანდარტი 4 – შესაბამიმსობაშია მოთხოვნასთან

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

  - ✓ რეკვიზიტების მატრიცაში წინაპირობების ნათლად და თანმიმდევრულად ასახვა;
  - ✓ საჭიროა კავშირი კლინიკური დისციპლინების და ბაზისურ სამეცნიერო დისციპლინების ლექტორებს შორის, რომელიც უცილობლად გამოიწვევს სილაბუსის ცვლილებებსა და განვითარებას;
  - ✓ მნიშვნელოვანია სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ უნარი მოიძიონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სარწმუნი ინფორმაცია;
  - ✓ ექთანზე მორგებული მეტი საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნა - ამ გზით ბაკალავრი ექთნის პროგრამის სტუდენტი გაეცნობა პაციენტების საფუძვლიან საექთნო შეფასებას, საექთნო პროცესს, ექთანსა და პაციენტს შორის კომუნიკაციას, კულტურულ განსხვავებებს, ჯანმრთელობის ფუნქციონალურ ასპექტებსა და საექთნო პრაქტიკის მთლიან ჩარჩოს;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვი**
  - დისციპლინას: მაგ:. მიკრობიოლოგია, ბიოქიმია, ფარმაკოლოგია სასურველია დაეთმოს მეტი საკონტაქტი რადგან ზემოთხსენებული დისციპლინები რთულია და სავარაუდოდ მოითხივს ლექტორის მიერ მეტ ჩართულობას.

  პერფორმანსის „ჩეკლისტების“ სტუდენტის პორტოფოლიოში თავმოყრა

- ✓ პროგრამა და მისი მდგრადობა დამოკიდებულია სტუდენტთა ინტერესზე დარგის მიმართ. სამწუხარო რეალობის გამო, დარგი არ სარგებლობს პოპულარობით და უნივერსიტეტს დარგობრივ ასოციაციასთან ერტად დიდი შრომა აქვს გასაწევი მეტი ინტერესის მიპყრობისათვის სახელმწიფოს მხრიდან და შემდგომი განვიტარებისათვის.
- ✓ პრაქტიკული კრედიტების გაზრდა - თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია გრძელდებიდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 300 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას (120 ECTS თუ 1 კრედიტი =25სთ-ს).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - საექთნო საქმის დეპარტამენტის FINE (European Federation of Nurse Educators) ექთან პედაგოგების ევროპული ფედერაციის ინსტიტუციონალური წევრობა, რაც გულისხმობს ერთ ხმას გენერალურ ანსამბლეაზე.
  - პრაქტიკის ჩატარება ნორთვესტის უნივერსიტეტის (სიეტლი, აშშ) ბუნტეინის საექთნო სკოლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის.
  - იმიტირებული ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომლის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის მქონე აბიტურიენტები.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა დაგეგმილია როგორც 4 წლიანი კურიკულუმი, რომელიც გაწერილია 8 სემესტრზე და მოიცავს დარგისთვის რელევანტურ ყველა საბაზისო და კლინიკურ დისციპლინებს. კერძოდ, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ მიზანია მოამზადოს მაღალი კომპეტენციის მქონე ექთნები, რომელთა პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას უზრუნველყოფს პროფესიულ საქმიანობაზე მიზნობრივად ორიენტირებული თეორიული ცოდნისა და საექთნო პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიწოდება-გამომუშავების გზით. ინტეგრირებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების შეთავაზებით პროგრამა კურსდამთავრებულებს აძლევს საექთნო საქმის თეორიისა და მეთოდოლოგიის საბაზისო ცოდნას და გამოუმუშავებს საექთნო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის კლინიკურ უნარ-ჩვევებს, ცვალებად საჭიროებებთან ადაპტირების, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარს, რის შედეგადაც ექთანს შეეძლება დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობა. დასახული მიზნის მიღწევა ხელს შეუწყობს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებული რეფორმების განხორციელებას. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ სამედიცინო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციებში პრაქტიკოსი ექთნის / ბაკალავრი ექთნის კომპეტენციების შესაბამის პოზიციებზე. პროგრამა უზრუნველყოფს პაციენტთან, პაციენტის კანონიერ წარმომადგენელთან და კოლეგებთან ურთიერთობისას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, პროფესიული სტანდარტების, ეთიკური პრინციპების და პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინების უნარს. პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია რაც დასტურდება სწავლის შედეგების რუკითა და სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებით. პროგრამის პრაქტიკული ნაწილი მოიცავს სტუდეტენტების აქტიურ ჩართულობას უშუალოდ პაციენტის მოვლის პროცესში. კლინიკური ბაზები იძლევა საშუალებას, რომ

სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ შესაბამისი უნარ-ჩვევები. ასევე, თანამედროვედ აღჭურვილი ტრენინგ ცენტრი სტუდენტებს აძლევთ შესაძლებლობას რომ დეტალურად შეისწავლონ ის პროცედურები და მანიპულაციები, რისი შესრულებაც მათ მოუწევთ შემდგომში პაციენტებთან.

პროგრამა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტებმა ინტერესის შემთხვევაში გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით მათი არჩევანის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის უცხოელი პარტნიორების ხელშეწყობით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ მათი კოლეგების საქმიანობას საზღვარგარეთ და უშუალოდ დააკვირდნენ ევროპულ სამედიცინო დაწესებულებაში მიმდინარე სამკურნალო და პაციენტების მოვლის პროცესებს.

სწავლის შედეგებზე გასვლისა და დასახულ კომპეტენციებზე გასვლის მიზნით, სწავლების პროცესში გამოყენებულია შემდეგი აქტივობები:

- პრაქტიკული მუშაობა
- სიმულაციური მუშაობა
- ლაბორატორიული მუშაობა
- როლური თამაში
- პრობლემის დასმა და მათი გადაჭრა
- სიტუაციური ამოცანები
- შემთხვევის შესწავლა და ანალიზი
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ამობრუნებული მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- გონებრივი იერიში
- გუნდური მუშაობა
- დისკუსიები
- აუდიო-ვიზუალური ლექციები
- ინტერაქტიული ლექციები
- ლიტერატურის მიმოხილვა
- პრეზენტაციების წარდგენა
- პროექტები

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა.

რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს. პროგრამის ბუნება უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები თავიდანვე იძენენ თეორიულ ცოდნას, ეცნობიან ბაზისურ მეცნიერებებს და შემდეგ პრაქტიკულ ნაწილში მათ აქვთ საშუალება, რომ მოახდინონ თეორიულად შეძენილი ცოდნის რეალიზება. პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული აკადემიური პერსონალი, რომელიც ყოველი სემესტრის ბოლოს მართავს შეხვედრებს სწავლის შედეგების შეფასების და სხვა მიმდინარე საკითხების განხილვის მიზნით. იმართება მოწვეულ პერსონალთან

საკონსულტაციო შეხვედრები, ანალიზდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხდება მომდევნო სემესტრებში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურა შემდეგნაირია: სასწავლო დისციპლინის შედეგების პირდაპირი შეფასების მიზნით, აკადემიური სემესტრის დასასრულს აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შედეგების მიღწევის ანგარიშის მომზადებას სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზის საფუძველზე, რომელიც უნდა განხორციელდეს Bell-curve გრაფიკისა (ე.წ. გაუსის დიაგრამა) და პირდაპირი შეფასების სხვა მეთოდების მეშვეობით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს საგნის კურატორს, საგნის კურატორი კი უზრუნველყოფს ანგარიშის საბოლოო ფორმირებას სასწავლო კურსის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ერთად და წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო დისციპლინების ანგარიშებისა და არაპირდაპირი შეფასების შედეგების წარდგენას პროგრამის განვითარების საბჭოსათვის. შეფასების მეთოდები (როგორც ფორმატული, ისე შემაჯამებელი) შეესაბამება საქართველოს ეროვნულ მოთხოვნებს და მოიცავს MCQ-ს, პრობლემის ანალიზს, პროცედურულ უნარებზე პირდაპირ დაკვირვებას (DOPS), შემთხვევის პრეზენტაციებს, მანეკენების, პორტფოლიოების შესაბამის გამოყენებას. დეტალური დოკუმენტები ახდენენ კურიკულუმსა და შეფასებებს შორის კონსტრუქციული შესაბამისობის დემონსტრირებას. აკადემიური პერსონალი დატრენინგებულია ვალიდური და საიმედო შეფასების შექმნაში და შეფასების განხორციელებაზე თანმიმდევრული სტანდარტით. სტუდენტებს ეძლევათ დროული გამოხმაურება გამოცდაზე შეფასების ძირითად სახეებზე, მათ, ასევე, ეძლევათ დროული გამოხმაურება ყოველი შემაჯამებელი შეფასებების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები არ ეთანხმებიან შეფასებას და მათ სურთ შემდგომი განხილვა, მათ ეძლევათ ამის საშუალება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; o საგანმანათლებლო პროგრამა; o უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა.

რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	X			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
„აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების (მათ შორის უცხო ენაში - ინგლისური ენა) შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ჩაბარებას. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად პირი ვალდებულია შეავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მითითებული ელექტრონულ განაცხადი, წარმოადგინოს მოთხოვილი დოკუმენტები და გააფორმოს უნივერიტეტთან ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამა“ საექთნო საქმე“ o https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=260 o https://www.ug.edu.ge/ge/imitirebuli-gamocdebi (ინფორმაცია 2019 წლის საბაკალავრო პროგრამებზე ჩაბარების მსურველთათვის) o საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება.
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შინაარსი მეტწილად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. თუმცა გასაუმჯობესებელია შემდეგი საკითხი:

- ✓ კერძოდ თერაპია შეისწავლება მესამე სემესტრიში

NRSI2110	თერაპია ექთნებისთვის	6 კრედიტი	3 სემესტრი

ხოლო მიკრობიოლოგია შეიწავლება მეოთხე სმესტრში

NRSI2140	მიკრობიოლოგია	6 კრედიტი	4 სემესტრი

მიკრობიოლოგიის შინაარსი წარმოადგენს ჯანმრთელობაზე მოქმედ მიკროორგანიზმების შესწავლას , მათი ზრდა-გამრავლების და გავრცელების ძირითად საფუძვლებს. სტუდენტები შეისწავლიან დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების კონტროლისა და გაუვნებელყოფის მეთოდებს. კურსის შემცველობაში შეტანილია მიკროორგანიზმების კლასიფიკაცია, ბაქტერიოლოგია, ვირუსოლოგია, მიკოლოგია, პარაზიტოლოგია და იმუნოლოგია. კურსში თავმოყრილია იმ მიკროორგანიზმების განხილვა, რომლებიც იწვევენ ადამიანთა დაავადებებს. ამ ინფორმაციის წინასწარ მიღება აუციოებლად დაეხმარება სტუდენტს თერაპიის თემატიკის უკეთ შესწავლაში.

- ✓ ფარმაკოლოგიის საგნის წინაპირობას წარმოადგენს

NRSI2220	ფარმაკოლოგია	ძირითადი	3	ENGL2217	ინგლისური ენა IV (B1/2)	ძირითადი	1	წინაპირობა

NRSI2220	ფარმაკოლოგია	ძირითადი	3	MATH1214	კვლევის რაოდენობრივი მეთოდების საფუძვლები	ძირითადი	1	წინაპირობა
NRSI2220	ფარმაკოლოგია	ძირითადი	3	NRSI1210	ბიოქიმია	ძირითადი	1	წინაპირობა

მნიშვნელოვანი არის ფარმაკოლოგიის წინაპირობა ოყოს ანატომია ფიზიოლოგია; პათოფიზიოლოგია რადგან ფარმაკოლოგიის დისციპლინის გავლის პერიოდში სტუდენტები ეცნობიან და აკავშირებენ ფარმაკოლოგიის დისციპლინას ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ თუ პათოლოგიურ პროცესებთან. ფარმაკოლოგოაში სტუდენტები შეისწავლიან პრეპარატების რეცეპტორულ სისტემასთან ურთირეთობას და მათ სწორ ადმინისტრირებას, მედიკამენტების თანმხლები გვერდითი ეფექტების ამოცნობას. აქედან გამომდინარე ფარმაკოლოგიის საფუძლველს გაამყარებს ანატომიია ფიზიოლოგიის და პათოფიზიოლოგიის მყარი და საფუძვლიანი ცოდნა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით ყველა წინა საგანი წარმოადგენს მომდევნი საგნის წინაპირობას, რაც თავისთავად ლოგიკურად ჟღერს, თუმცა მნიშვნელოვანია რეკვიზოტების მატრიცში აღნიშნული მიითება ნათლად ჩანდეს.

ასევე მნიშვნელოვან ასპექტს წამორადგენს კავშირი კლინიკური დისციპლინების და ბაზისურ სამეცნიერო დისციპლინების ლექტორებს შორის, რომელიც უცილობლად გამოიწვევს სილაბუსის ცვლილებებსა და განვითარებას. ფარმაკოლოგია წარმოადგენს თერაპიის თანაპირობას, ხოლო ფარმაკოლოგიის ლექტორმა არ აღნიშნა კავშირი თერაპიის ლექტორთან. ამ კავშირის მიზანს წარმდგენს სინერგიის დაცვა ამ ორ პარალელურ რეჟმში მიმდინარე დისციპლინას შორის, რომ არ მოხდეს სხვადასხვა სისტემის დაავადებების და სხვა სისტემაზე მიქმედი მედიკამენტების პარალლურ რეჟმში შესწავლა.

საერთო ჯამში პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აკადემიურ პერსონალი და დამსაქმებელი არ აღნიშნავს მონაწილეობის მიღების ფაქტს. თუმცა პრგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის ჯგუფი აღნმიშნავს რომ პერიოდულად ხდება მათთან შეხვედრა და საკვანძო საკითხების გავლა. მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ საბაკალავრო პროგრამაზე მეორე კურსზე მხოლოდ ერთი სტუდენტი სწავლობს, სტუდენტის შენიშვნები და წინაადებები მნიშვნელოვნი იქნება თუმცა არასაკმარისი. ანალიზის შედეგები წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საფუძველს. აღნიშნული პროცესის გამოყენების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად უნივერსიტეტი ასახელებს ერთერთ განხორციელებული ცვლილებას, რომელიც უკავშირდება შუალედური შეფასების ფორმის ამოღებასა და მის ნაცვლად ყოველდღიურ ქვიზებზე შეფასების მოცულობის გაზრდას. აღნიშნული ცვლილება სწორედ სტუდენტთა და პროგრამის პერსონალთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე იქნა მიღებული.

დამსაქმებელმა და პრაქტიკული ბაზების მთავარმა ექთნებმა დაადასტურეს და აღნიშნეს ფაქტი, რომ უნივესიტეტიდან მივლენილი სტუდენტები გამოირჩევიან თავისი ცოდნის დონით, თუმცა საუბარია ინგლისურენოვან ჯგუფებზე რადგან ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები ჯერ არ მისულან პრაქტიკულ ბაზებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა “საექთნო საქმე“;

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის კომპეტენციების მატრიცა;
- წინაპირობების/ რეავიზიტების მატრიცა.

რეკომენდაციები:

- ✓ რეკომენდებულია, რეკვზიტების მატრიცაში წინაპირობების ნათლად და თანმიმდებრულად ასახვა;
- ✓ საჭიროა კავშირი კლინიკური დისციპლინების და ბაზისური სამეცნიერო დისციპლინების ლექტორებს შორის, რომელიც უცილობლად გამოიწვევს სილაბუსის ცვლილებებსა და განვითარებას. მაგალითად უცილებელია კავშირი დამყარდეს ფარმაკოლოგიის, მიკრობიოლოგიის ლექტორსა და თერაპიის ლექტორს შორის, რადგან ამ საგნების ურთიერთკავშირი წამროადგენს სრულყოფილი ცონდის მიღების საწინდარს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

2018 წლიდან საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე ამოქმედდა ახალი რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განვითარების საბჭოს შექმნას. აღნიშნული რეგულაციის საფუძველზე საექთნო საქმის საბაკალავრი პროგრამის განვითარების საბჭო შეიქმნა 2018 წლის დეკემბერში. მისი წევრები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, სტუდენტი და დამსაქმებელი.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსიები უზრუნველყოფს იმ მეცნიერებების და დისციპლინების ცოდნას, რასაც ემყარება საექთნო საქმეს.

თოთოეული დისციპლინა შექმნილია საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და წარმოდგენილია ასტრონომიული საათების პროპორციულად ECTS კრედიტებში.

უნდა ღინიშნოს, რომ თორიულ დისციპლინას: მაგ:. მიკრობიოლოგია, ბიოქიმია, ფარმაკოლოგია დათმობილის აქვს 6 კრედიტი, რაც ნამდვილად საკმარისი დრო არის კრედიტების მხრივ. თუმცა, საათობრივი გადანაწილებით შესაძლებელია მეტი დრო დაეთმოს საკონტაქტო საათებს, რადგან ზემოთხსენებული დისციპლინები რთულია და სავარაუდოდ მოითხივს ლექტორის მიერ მეტ ჩართულობას.

ამჟამინდელი გადანაწილებით კრედიტით გათვალისწინებული საათების მხოლოდ 1/3 ეთმობა საკონტაქტო საათს. სტუდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა საგნების სირთულის დადასტურება, მათ აღნიშნევს, რომ მეტი ახსნა ბევრად ნათელს გახდიდა საკითხს.

წარმიგიდგენთ ბიოქიმიის კრედიტების გადანაწილებას საათების მიხედვით:

საკონტაქტო
ლექციაზე დასწრება 26
სემინარზე დასწრება 26
გამოცდა 3 სთ
პრეზენტაცია 2 სთ
არასაკონტაქტო
დამოუკიდებელი მეცადინეობა 67
გამოცდების მომზადება18
ნაშრომების მომზადება 8

კურსი აგებულია თეორიული და პრაქტიკული სწავლების პრინციპზე.

კურსდამთავრებული იღებს ცოდნას საექთნო საქმის საბაზისო თეორიული საკითხების, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, პათოლოგიური ფიზიოლოგიის, ფარმაკოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, თერაპიის, ქირურგიის, პედიატრიის, დედათა და ჩვილის მოვლის, გერიათრიის, ფსიქიატრიის ძირითადი საკითხების, საექთნო პროცესის ეტაპების (საექთნო შეფასება, დიაგნოსტირება, მოვლის გეგმის შედგენა, განხორციელება, შედეგების შეფასება), საექთნო მანიპულაციებისა და პროცედურების დანიშნულებისა და ჩატარების წესების, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ძირეული პრინციპების, საექთნო საქმეში გამოყენებული თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებისა და მეთოდების, საექთნო მოვლის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევის პრინციპების,რთული და პრობლემური/კრიტიკული (მათ

შორის კონფლიქტური) სიტუაციების მართვის პრინციპების ,გაცნობიერებული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, მკურნალობა- რეაბილიტაციისა და პალიატიური ღონისძიებების მნიშვნელობის შესახებ.

კურსდამათვრებული ეუფლება და მას უვითარდება უნარი საექთნო საქმის ჯეროვნად შესრულებისთვის.

განხილული დოკუმენტაცია იძლევა დადასტურებას, რომ სასწავლო კურსი შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამა უმეტეს წილად არის თანმიმდევრული და გადის კვალიფიკაციის შესაბამის შედეგზე.

საექთნო სპეციფიკაზე მორგებული ლიტერატურის ნაკლებობა, ზოგადად, აღინიშნება ქვეყანაში და წარმოადგენს საექთნო განათლების სუსტ რგოლს. ინივერსიტეტი იყენებს ქართულენოვან სახელმძღვანელოს (პირველი კურსი) და მეტწილად ინგლისურენოვან ლიტერატურას,ეს უკანასკნელი თავისთავად ანვითარებს სტუდენტის ენის კომპეტენციას და ინფორმაციის მოძიების უნარს. უნივერსისტეტის ინტელექტუალური რესურსიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე აუცილებელია შეიქნას ქართულენოვანი ლიტერატურა რათა სტუდენტს მიეცეს საშუალება მოიძიოს ინფორმაცია ქართულ ენაზე. მდგომარეობას გაამარტივებდა ფაქტი, თუ იქნებოდა საექთნო ინფორმაციის სარწმუნო ვებგვერდები, მაგრამ სამწუხაროდ ასეთი ინფორმაციის მოძიება ჯერჯერობით არ არის შესაძლებელი.

სასწავლო პროცესი, ისევე როგორც დარგი, რომელსაც აღნიშნული პროგრამა შეასწავლის, არის მუდმივად ცვალებადი პროცესი. მნიშვნელოვიანია უნივერსიტეტმა სტუდენტებში განავითაროს ინფორმაციის მოძიების უნარი სარწმუნო და ავთენტური წყაროებიდან, რაც თავისთავად დადებითად აისახება, როგორც უახლესი და სარწმუნო ინფორმაციის მიღების ხარისხზე, ასევე უცხოური ენის კომპეტენციაზე.

სტუდენტების თქმით, ინფორმაციის მოძიების მიზნით ისინი იყენებენ „Google"-ს მაგრამ ვერ ჩამოთვალეს ვერც ერთი ვებგერდი სადაც ინგლისურ ენაზე მოახდენდნენ ინფორმაციის მოძებას რაც მათი ავტონომიურობის გამყარების და ჩამოყალიბების ძლიერი ინსტრუმენტი იქნება.

მნიშვნელოვანია სტუდენტებმა იცოდნენ ისეთი საძიებო წყაროები როგორიც არის :

https://www.medscape.com/

https://www.cdc.gov/

https://www.nursingworld.org/

https://www.uptodate.com

და სხვა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა „საექთნო საქმე"
- პროგრამის სილაბუსები
- ელექტრონული ბიბლიოთეკა
- ინტერვიუ;

რეკომენდაციები:

- ✓ მნიშვნელოვანია სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ უნარი მოიძიონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სარწმუნი ინფორმაცია;
- ✓ ექთანზე მორგებული მეტი საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნა - ამ გზით ბაკალავრი ექთნის პროგრამის სტუდენტი გაეცნობა პაციენტების საფუძვლიან საექთნო შეფასებას,

საექთნო პროცესს, ექთანსა და პაციენტს შორის კომუნიკაციას, კულტურულ განსხვავებებს, ჯანმრთელობის ფუნქციონალურ ასპექტებსა და საექთნო პრაქტიკის მთლიან ჩარჩოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის დისციპლინას: მაგ., მიკრობიოლოგია, ბიოქიმია, ფარმაკოლოგია სასურველია დაეთმოს მეტი საკონტაქტი რადგან ზემოთხსენებული დისციპლინები რთულია და სავარაუდოდ მოითხივს ლექტორის მიერ მეტ ჩართულობას. **საკონტაქტო საათების გაზრდა**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის პირველსავე ეტაპზე განხილულია პროფესიის არსი „შესავალი საექთნო საქმეში“ ეს კურსი სტუდენტს აცნობს საექთნო საქმეს, როგორც ჯანმრთელობის დაცვის პროფესიას. ყურადღებას ამახვილებს ძირითადი საექთნო საქმიანობის კონცეფციებზე. სტუდენტი ეცნობა საექთნო თეორიებს და საექთნო პროცესს, საექთნო საქმისა და საექთნო განათლების ისტორიას, ექთნის როლსა და ფუნქციას. პროფესიული ქცევის დახასიათებასა და მიღებულ გამოცდილებას, ჯანმრთელობისა და

ავადობის კონცეფციებს. კურსი მიმოიხილავს და სტუდენტებს აცნობს საექთნო საქმეში კრიტიკული აზროვნების პრინციპების, სამედიცინო ეთიკის, პაციენტის უფლებების დაცვის, ეფექტური კომუნიკაციური ჩვევების, კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების მნიშვნელობას. ყურადღება გამახვილებულია ძირითადი საექთნო საქმიანობის კონცეფციებზე.

უნივერსიტეტს გააჩნია ფართო სპექტრით და ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით წარმოდგენილი სიმულაციური ლაბორატორია, სადაც შეისწავლება ბაზისური მანიპულაციები, BLS, ACLS.

მისასალმებელია ინფექციის კონტროლის საფუძვლების კომპონენტის შესწავლა, და მათი გადანაწილება სილაბუსებში როგორც სილაბუსის შემადგენელი ნაწილი მათ შორის: ინფექციის გავრცელების გზები, პრევენცია, ინფექციური დაავადებების დროს სპეციალური და საიზოლაციო ღონისძიებების გამოყენების პრინციპები, პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებები, რადგან კლინიკებში უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება ინფექციის კონტროლის მედდის კომპონენტი. საჭიროა ამ დისციპლინას დაეთმოს მეტი პრაქტიკული მეცადინეობა იზოლაციის, პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენების (სამედიცინო დაწესებულება), სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციის გავრცელების პრევენციის წესების დანერგვის შესწავლის მიზნით. აუცილებელია სტუდენტებმა პრაქტიკული საათები დაჰყონ ყველა არსებულ განყოფილებაში, მათ შორის, სასტერილიზაციო, სამრეცხაო. სტუდენტები პრაქტიკულად შეისწავლიან განყოფილებაში სუფთა და კონტამინირებული არეების განლაგებას, სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციასა და ლიკვიდაციის წესებს, სუფთა და კონტამინირებული ინვენტარისა და თეთრეულის ტრანსპორტირებას.

პრაქტიკული კრედიტების გაზრდა წარმოადგენს სწავლების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რადგან კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ და ავადმყოფ პირებთან ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საფუძველზე სწავლობს სრულფასოვანი საექთნო მომსახურების ორგანიზებას, განხორციელებასა და შეფასებას. მომავალმა ექთანმა უნდა ისწავლოს როგორ იმუშაოს გუნდში, მართოს გუნდი და ორგანიზება გაუწიოს სრულ საექთნო მომსახურებას, ასევე მიაწოდოს შესაბამისი განათლება ინდივიდებსა თუ მცირე ჯგუფებს, როგორც სამედიცინო დაწესებულებებაში, ასევე მოსახლეობაში/საზოგადოებაში.[1] (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლოს 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში, DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation
(EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System
('the IMI Regulation'[2]))

უნივერსიტეტს კლინიკური პრაქტიკისთვის დათმობილი აქსვ 90 კრედიტი რაც (2250 საათი). თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის

[1] ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლოს 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში

[2] DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System ('the IMI Regulation')

ნახევარი, ანუ მინიმუმ 3000 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას (120 ECTS თუ 1 კრედიტი =25სთ-ს); (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლოს 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში. კლინიკაში სტუდენტს მიყვება მენტორი, რომელიც ჩართულია კლინიკური პრაქტიკის საქმიანობაშო და ავსებს სტუდენტის მიერ პრაქტიკულად შესრულებული სამუშაოს პერფორმანსის „ჩეკლისტს“. შეფასების ინსტრუმენტი, ნამდვილად იძლევა სტუდენტის ჯეროვნად შეფასების საშუალებას. „ჩეკლისტი“ წარმოადგენს სტუდენტის საკუთრებას, თუმცა ერთი ასლი სასურველია ინახებოდეს სტუდენტის პროტოფოლიოში მენტორის და სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაოს დადასტურების მზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ თვითშეფასების დოკუმეტი • პროგრამა • სილაბუსები • ინტერვიუ • დათვალიერება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პერფორმანსის „ჩეკლისტების“ სტუდენტის პორტოფოლიოში თავმოყრა; • რეკომენდებულია, პრაქტიკული კრედიტების გაზრდა - თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3000 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას (120 ECTS თუ 1 კრედიტი =25სთ-ს); (ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლოს 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში[3], DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System (‘the IMI Regulation’[4]));
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

[3] ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლოს 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში

[4] DIRECTIVE 2013/55/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 November 2013 amending Directive 2005/36/EC on the recognition of professional qualifications and Regulation (EU) No 1024/2012 on administrative cooperation through the Internal Market Information System (‘the IMI Regulation’)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღსანიშნავია, რომ პროგრამა დაფუძნებულია და აგებულია სტუდენტზე ორიენტირებულ პრინციპზე, რაც ავითარებს სტუდენტების უნარ-ჩვევებს, კრიტიკული აზროვნების უნარს და აღრმავებს სტუდენტის აკადემიურ ცოდნას. პროგრამის ასათვისებლად გამოყენებულია სხვადასხვა სწავლების მეთოდი: **ინტერაქტიული მეცადინეობები** - სტუდენტის ჩართულია სალექციო პროცესში, მიმდინარეობს ლექტორსა და სტუდენტს შორის სალექციო თემის ირგვლივ საკითხების ერთობლივი განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომლის დროსაც სტუდენტები მონაწილეობენ დისკუსიაში, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, სვამენ ახალ საკითხებს, რომლის გარშემოც ლექტორი აკეთებს განმარტებას. **პროცესზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი (POGIL)** - აღნიშნული მეთოდი გამოიყენება კლინიკური და ლაბორატორიული სწავლების პროცესში და ორიენტირებულია ისეთი უნარების კომპლექსურ განვითარებაზე, როგორებიცაა: ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი, სინთეზი, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და სხვ. **როლური თამაში** - ფართოდ გამოიყენება მედიცინის სფეროში, მათ შორის საექთნო საქმეში, რადგანაც იძლევა დაკვირვების, შემთხვევის განხილვისა და კლინიკური განსჯის უნარების განვითარების შესაძლებლობას. როლური თამაშები სტუდენტს ასევე უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლება (Evidence-based learning (EBD) - აღნიშნული მეთოდი მიზნად ისახავს თანამედროვე კვლევებსა და მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებას.

ამობრუნებული მეთოდი (Flipped learning) - აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს თეორიული მასალის გაცნობას საკონტაქტო საათის მიღმა, ხოლო პრაქტიკულ/ლაბორატორიულ/კურაციულ მეცადინეობაზე ხდება მიღებული თეორიის აქტუალიზება და ცოდნის/უნარის გამყარება.

მცირე კვლევების ჩატარება - რეფერატის ან სხვა ტიპის დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების მიზნით რელევანტური მასალის მოძიება /შეჯერება/განზოგადება ან საგნობრივი სფეროსთვის სპეციფიური კითხვარის გამოყენება სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი მონაცემების მოსაპოვებლად.

პრაქტიკული მუშაობა - თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაციის მიზნით პრაქტიკული ამოცანების და დავალებების შესრულება, ჰიპოთეტური პრობლემების გადაჭრა და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა.

ლაბორატორიული მუშაობა - სალექციო თემის ლაბორატორიული დემონსტრირება, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება, ლაბორატორიული დავალებების შესრულება;

გუნდური მუშაობის მეთოდი - აკადემიურ ჯგუფებში მცირერიცხოვანი გუნდების ჩამოყალიბება, გუნდში მუშაობის უნარების გასანვითარებლად. მათ შორის ერთგვარი კონკურენციის წახალისება,სასწავლო მასალის ფორმატში კონკრეტული ჯგუფური დავალების/პროექტის უკეთესად მომზადება/წარდგენის მიზნით; გუნდებში ლიდერული უნარების განვითარება,შეჯიბრებითობის უნარის განვითარება,გუნდის წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება.

შემთხვევების შესწავლა და ანალიზი - სწავლების მეთოდი, რომელიც მოიცავს წარსულში მომხდარი რეალისტური მოვლენის ან შემთხვევის აღწერას, როდესაც პრობლემური საკითხის ანალიზის საფუძველზე სტუდენტი იღებს გადაწყვეტილებას. სტუდენტი ახდენს წარსულში მირებული ცოდნის შეჯერებას, შეფასებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

სიმულაცია ფანტომებზე - კომპლექსური სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც ხდება რეალურ გარემოში მიმდინარე მოვლენებზე დაყრდნობით პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობა. სიმულაციის პროცესში განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ხდება როლების გადანაწილება, რესურსებით უზრუნველყოფა და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება. კონტროლდება რეალური სიტუაციის შესაბამისი პარამეტრები და მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება უზრუნველყოფს კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას. სიმულაციის პროცესში ხდება წარსულში მიღებული ცოდნის თავმოყრა, გაღრმავება და პრაქტიკაში გამოყენება. თემატური პრაქტიკული უნარების ათვისების მიზნით პრაქტიკული დავალებების შესრულების,კონკრეტული მანიპულაციებისა და პროცედურების სწავლებების ფორმა სიმულატორებსა და ფანტომებზე.

კლინიკური პრაქტიკული მეცადინეობები - მენტორის ზედამხვედველობის ქვეშ კონკრეტული სამედიცინო საკითხების შესახებ პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება რეალურ კლინიკურ გარემოში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o უსდ თვითსეფასების დიკუმენრტი o სილაბუსები
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით რომელიც რეგულირდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანება).

სასწავლო კურსის/დისციპლინის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.
შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში. სტუდენტებისთვის სილაბუსი ხელისაწვდომია სემესტრის დასაწყისშივე UG ელექტრონული სისტემის საშუალებით.
პროგრამაში ყოველდღიური შეფასება ხდება ქვიზის სახით. სტუდენტის გვერდზე ყოველკვირეულად აისახება ქვიზის შეფასებები. გარდა ყოველდღიური წერითი ქვიზისა, სტუდენტებს უტარდებათ ყოველკვირეული პრაქტიკული სამუშაოები, რაც ფასდება ლექტორის მიერ.

A-დან F-მდე შეფასების სისტემაა გამოყენებული
(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასება 91 ქულა და მეტი
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასება 81- 90 ქულა
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა

FX ნიშნავს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ დავალების ხელმეორედ შესრულება, როგორც კი, გამოხმაურებას მიიღებენ თავიანთ შეცდომებთან დაკავშირებით. F შეფასება კი ნიშნავს, რომ სტუდენტმა ხელმეორედ უნდა გაიაროს სემესტრი.
შედეგები ხელმისაწვდომია აკადემიური და მოწვეული მასწავლებლებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოყენებულია სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.
სტუდენტებისთვის იგეგემება OSCE ფორმალური ტიპის გამოცდა სიმულაციის ლაბორატორიაში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის კრიტიკული აზროვნების უნარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o სტუდენტებისთვის ტარდება OSCE არაფორმალური ტიპის გამოცდა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

“საქართველო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს დეტალურ ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ „myUG” ვებ-გვერდის მეშვეობის, სადაც წვდომა აქვს დეტალურ ინფორმაციაზე, როგორიცაა ცხრილი, შეფასება, დაგეგმილი ღონისძებები და ა.შ.
ვებ-გვერდთან ბმულია სტუდენტის პირადი მაილი, რომლის საშუალებით შეუძლია პირადად დაეკონტაქტოს ლექტორს, ისევე როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელს.
ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ვებ-გვერდის გამოყენების სიხშირე ძალიან მაღალია, თუმცა ეს ინფორმაცია მოწოდებულია „საქართველო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის ერთი სტუდენტის, ხოლო 8 სტუდენტი არის ახალი ჩარიცხული.

სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულების თანახმად (პუნქტი 3.5 - დატვირთვის სქემა; პუნქტი 8 - ნაწილობრივი განაკვეთით დასაქმებული; პუნქტი 22.2 - სტუდენტთან თანამშრომლობა) “საქართველო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს აქვს ინდივიდუალური მუშაობისთვის გათვალისწინებული საკონსულტაციო საათების (მინიმუმ 2 საათი) მიღების საშუალება. ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით მიეწოდება სტუდენტს როგორც ლექციის დროს, ასევე საკონსულტაციო საათების ცხრილი გამოკრულია უნივერსიტეტის/დეპარტამენტის საინფორმაციო სტენდზე. მიმდინარე სემესტრის საკონსულტაციო საათების ცხრილი დადგინდა 2019 წლის 11 სექტემბრის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის სამბჭოს სხდომაზე (ოქმი #47-19/11.09).

“საქართველო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს სათანადო ინფორმაციას ლოკალური და საერთაშორისო ღონისძიებების და სასწავლო პროცესის შესახებ, ისევე როგორც მის დაგეგმვასა და მენეჯმენტის ხელშეწყობას საქართველო საქმის ხელმაძღვანელისაგან, საგნის ლექტორისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და მართვის ოფისისაგან.

“საქართველო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის კარიერული განვითარების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტსა (ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა) და შვედურ კომპანიას „Sens Group” შორის 2019 წლის 2 მაისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ, რის ფარგლებშიც ხელი შეეწყობა ბაკალავრი ექთნების დასაქმების პროცესსა და შესაბამისი სასწავლო ღონისძიებების განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება
- ხელშეკრულებები (Agreement for Academic Cooperation between The University of Georgia (School of Health Sciences) and Company “Sens Group” (Sweden))
- საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის საბჭოს სხდომის ოქმი #47-19/11.09

ვებ-გვერდი: www.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები,	X			

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ექთნის (ინსტრუქტორის) ჩართვა. ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 6 აფილირებული პროფესორი, 17 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 14 აფილირებული), 1 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი და 18 მოწვეული მასწავლებელი აქედან ერთი უცხოელი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების (კონფერენციების ორგანიზება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, დარგობრივი პროფესიული საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვა) შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობაა შთამბეჭდავია, ეს პროგრამის მდგრადობის ერთერთი მნიშვნელოვანი პირობაა. სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის შერჩევა ეფუძნება მათ სამეცნიერო, პედაგოგიურ და

პრაქტიკული გამოცდილებას. უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესარჩევი კონკურსის მნიშვნელოვანი პირობა ინგლისური ენის B2 დონეა. პროგრამაში ჩართული პერსონალის 65% წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს/მასწავლებელს, ხოლო დანარჩენი მოწვეულს. პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა განისაზღვრება სასწავლო წელზე გათვლილი დატვირტთვის სქემით, რომელსაც ამტკიცებს ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი გამოცდილება, კვალიფიკაცია და ცოდნა პროგრამის შემუშავებისა და შემდგომი განვითარების საკითხებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება • ინტერვიუს შედეგები • პირადი საქმეები • შესაბამისი სამუშაოების აღწერები; • საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • საკონკურსო მასალები; • გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადები; • აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც); • პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი განხორციელებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს და სამეცნიერო ჟსაქმიანობის ურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უზრუნველყოფს საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის კოორდინაციას, ძირითადი ამოცანებია: უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსაზღვრის ორგანიზება; უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული კვლევის განხორციელებისათვის და სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა; უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა. აღსანიშნავია საექთნო საქმის დეპარტამენტის FINE(European Federation of Nurse Educators) წევრობა.

ექთან პედაგოგების ევროპული ფედერაციის ინსტიტუციონალური წევრობა გულისხმობს ერთი ხმის უფლებას გენერალურ ანსამბლეაზე. უსდ უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდულ ცართულობას საერთაშორისო სემინარებში, კონფერენციებში თუ უცხოელი და ადგილობრივი დარგის სპეციალისტების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობას.
საექთნო საქმის დეპარტამენტის პერსონალს თავად ახორციელებს მოკლევადიანი გადამზადების ტრეინინგ-კურსებს „შინ მოვლისა“ და „პედიატრიული სასწრაფო დახმარების“ მიმართულებით.

პერსონალის შეფასება უნივერსიტეტში ხდება ადმინისტრაციისა და სტუდენტთა მიერ. ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი სისტემატურობით ხდება პერსონალის შეფასება, სკოლის დირექტორის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ამის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი საკიტხი განსახილველად ხდება აკადემიურ საბჭოზე. სემესტრის ბოლოს სტუდენტები ელექტრონულად ავსებენ პერსონალის და პროგრამის კომპონენტის შეფასების კითხვარს.
სკოლის დირექტორი განხილულ შედეგებს კონფიდენციალობის დაცვით განიხილავს სკოლის საბჭოს სხდომაზე.

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სკოლის ადამიანური რესურსების სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით განვითარების პროექტების დაფინანსებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- სკოლის ბიუჯეტი
- თვითსეფასების ანგარიში
- სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დებულება

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ლაბორატორიით და ინფრასტრუქტურით, რაც აუცილებელია საეთქნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის (ანატომიის ლაბორატორია, ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორია, სიმულაციური ჰოსპიტალი) სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო და თანამედროვე ტექნოლოგიებით პროექტორებით, კომპიუტერებით, შეუზღუდავი ინტერნეტით. ლაბორატორიებში გაწერილია ქცევის წესები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები (ლაბორატორიების ხელმძღვანელი), სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია უახლესი, ძირითადად უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა. წიგნადი ფონდი მოიცავს 1887 ერთეულს, ასევე სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე სხვა სახის ლიტერატურით. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: HINARI, ELSEVIER, ADEE. უნივერსიტეტში უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები • ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები • მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნივერსტეტის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას აქვს თავისი ბიუჯეტი, თუმცა მხარდაჭერილია უნივერსიტეტის და თვითონ საკუთრივ სკოლის ბიუჯეტითაც, რომელიც ჯამში პროგრამის მგდრადობას უზრუნველყოფს. საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია ERASMUS+ის ფარგლებში დაფინანსებული ინსტიტუციური განვითარების პროექტში „Sustainable learner-centred Teaching - Advanced Recourse for Georgia and China“, რაც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის მზადებას სწავლების თანამედროვე მიდგომებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები; • ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები; • მოთხოვნილი დოკუმენტაცია; უნივერსტეტის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამა და მისი მდგრადობა დამოკიდებულია სტუდენტთა ინტერესზე დარგის მიმართ. სამწუხარო რეალობის გამო, დარგი არ სარგებლობს პოპულარობით და უნივერსიტეტს დარგობრივ ასოციაციასთან ერტად დიდი შრომა აქვს გასაწევი მეტი ინტერესის მიპყრობისათვის სახელმწიფოს მხრიდან და შემდგომი განვითარებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კითხვარები და მათი შედეგების ანალიზის დოკუმენტები) ისე ინტერვიუების შედეგებით დასტურედება, რომ პროგრამის გასაუმჯობესებლად პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველეყოფის სამსახურთან. დაწესებულება პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად, კერძოდ,

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია ეფუძნება PDCA მიდგომას და ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობას. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შექმნილია „საქართნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, პროგრამაში ჩართული პერსონალი, სტუდენტები, დარგის უცხოელი სპეციალისტი და დამსაქმებელი. პროგრამის განვითარებისა და პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ წარიმართება სწორედ ზემოხსენებული საბჭოს მიერ.

პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მიზანია პროგრამის მუდმივად გაუმჯობესება, შედეგების დახვეწა-განვითარება. შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რაც ხდება თანმიმდევრულად, გამჭირვალედ, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ანალიზისა და შეფასების საფუძველზე კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში დასკვნების გაკეთება, რაშიც იგულისხმება, როგორც არსებული სწავლის შედეგების კომპონენტების დახვეწა, ისე პროგრამაში ახალი კომპონენტის გაჩენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

აკადამიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები

ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. ისინი განიხილავენ და ასრულებენ მიღებულ რეკომენდაციებს. შეფასების ფარგლებში ფასდება როგორც პროგრამის სტრუქტურა ისი მისი გამოსავლები, თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ასევე სწავლების მეთოდები და ლიტერატურა. გარე ხარისხის შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაცია (პრაქტიკული და კლინიკური ნაწილის გაძლიერება) ასახულია პროგრამაში პრაქტიკული ნაწილის გაძლიერებით. აღსანიშნავია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული გარე შეფასების დროს ექსპერტების მიერ გაწეული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული. გარე შეფასების ფუნქციას ასრულებს არაპირდაპირი შეფასების მეთოდების ფარგლებში ჩატარებული დაინტერესებული მხარეების კვლევის შედეგების ანალიზებიც. უნივერსიტეტი ახდენს ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზსაც - პროგრამის გაუმჯობესების და განახლების მიზნით ხდება ანალოგიური პროგრამების გადახედვა და კონკურენტუნარიანი უნმ,ივერსიტეტების პროგრამებზე დაყრდნობით შესაძლებელია არსებული პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაც. o
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, 2014.03.12. o
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საეთქნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტში არსებული რეგულაციის - ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება პროცესებში სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები: შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება - გულისხმობს სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებას, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა. მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება.

პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი ხდება სემესტრის განმავლობაში, სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის საქართველოს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რადგან ხსენებული შეფასებები ამოწმებენ საგნის იმ კომპეტენციებს, რომლებიც საბოლოო ჯამში უნვითარებს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების კომპეტენციებს.

პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება - გულისხმობს სტუდენტის და დაინტერესებული პირების დამოკიდებულებას სასწავლო პროცესების და პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. ზემოაღნიშნული შეფასების შედეგები განიხილება პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ. პროგრამის განვითარების საბჭოს შემადგენლობას ადგენს სკოლის აკადემიური საბჭო პროგრამის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით. საბჭოში შემავალი პირების სია მტკიცდება სკოლის აკადემიური საბჭოს ოქმით. საბჭოს მუდმივი წევრები არიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. საბჭო შეკრების მიზანია პროგრამის შედეგების კვლევა და ანალიზი. კვლევა და ანალიზი კეთდება პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა-გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის შეფასების საბჭო შემაჯამებელ სხდომას ატარებს სემესტრულად სულ მცირე ერთხელ, თუმცა თუ საჭიროება მოითხოვს, განისაზღვრება დამატებითი შეხვედრები. პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება რეკომენდირებულია განხორციელდეს წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ხოლო არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში. პროგრამის განვითარების საბჭო მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე და ამის შემდეგ ხორციელდება ცვლილებები. ზემოაღნიშნული რეგულაციის შესაბამისად შეიქმნა „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც მიმდინარე წელს შეიკრიბა ორჯერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები; • აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები; • სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; • უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: **არ არის**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **არ არის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**X**			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **საექთნო საქმე**
დასკვნის გვერდების რაოდენობა:43
პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამარ დაუსი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ცოტნე სამადაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ეკა აბჟანდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ლანა ბიკუჩავა